

გერმანული ei დიფთონგის გადმოცემისათვის ქართულში

(ს. ჯანაშიას მოხსენების მიხედვით)

თ ე ზ ი ს ე ბ ი

1. საკითხი წმინდა ორთოგრაფიული ხასიათისაა, ე. ი. რა დაწერილობა უნდა შეეფერებოდეს სავალდებულო ლიტერატურულ გამოთქმას. ეს უკანასკნელი ირკვევა როგორც შესათვისებელი, ისე შემთვისებელი ენის ფაქტების მიხედვით.

თვით გერმანულის ლიტერატ. გამოთქმაში ei დიფთონგის პირველი ხმოვანი ამჟამად უკვე აღარ არის „ე“, არამედ ბგერა, საშუალო ე-სა და ა-ს შორის, რომელიც, თვით გერმანული ფონეტიკის თვალსაზრისით, გაცილებით უფრო ახლოსაა ა-სთან, ვიდრე ე-სთან.

ავტორი გრამატიკული ნარკვევისა უახლეს საბჭოთა დიდ გერმანულ-რუსულ ლექსიკონში ei დიფთონგის პირველ ხმოვანს განიხილავს სწორედ, როგორც ა-ს: *Дифтонг ai в немецких словах произносится при написании 'ai, ei eih, например. mein, Hair, Reihe* (Deutsch-Russisches Wörterbuch, 1934, გვ. XIV ორთოგრაფია ამ შემთხვევაში ისტორიულ ტრადიციას ემყარება.

3. ხსენებული დიფთონგიანი გერმან. სიტყვების დაწერილობა სხვა ევროპულ ენებში იცავს გერმანულ ორთოგრაფიას აქ საყოველთაოდ მიღებული უცხო სიტყვათა გრაფიკულ-მექანიკურ გადმოცემის წესის მიხედვით, რაც, უმთავრესად, შრიფტის ერთიანობასა და საერთოდ ტრადიციულ ორთოგრაფიებზეა დამყარებული.

4. რუსული, რომელიც ამ გრაფიკულ-მექანიკურ პრინციპს არ იცავს შრიფტის განსხვავებულობის გამო (შეად. რუს. *Гете, Шекспир* და სხვა), აღებულ შემთხვევაში გარეგნულად თითქოს მას მისდევს (გერმ. ei—რუსულში ჩვეულებრივად eii-ს სახით გადმოღის), ნამდვილად კი რუსული დაწერილობა ისტორიული და ფონეტიკური მიზეზებით აიხსნება.

5. ქართულის მერყეობა აღნიშნულ დიფთონგიან გერმანულ სიტყვების დაწერილობაში (თუ მაგ., ერთი მხრით, უპირატესად იწე-

რება ლეიბნიცი, ლეიბ-ჟირურგი, რეიხსტაგი, შტრეიკბრეხერი და სხვ., მეორე მხრით მხოლოდ ცვაიგი, ვაიმარი, აინშტაინი, „ცვაიკინდერსისტემ“, ჰაიდელბერგი, მეკელაინი და სხვ., გვხვდება ლეიბციგი და ლაიპციგიც, ჰეინე და ჰაინეც და სხვ.) აიხსნება ამ სიტყვების ქართულში შემოსვლის ორი გზით — რუსულიდან, ბექდურ-დაწერილობითი გზითა და გერმანულიდან, უშუალო ცოცხალი ურთიერთობის გზით. უკანასკნელი იწყება უმთავრესად იმ მომენტში, როდესაც დიფთონგის დღევანდელი გერმანული ლიტერატურული გამოთქმა უკვე ჩამოყალიბებულია.

6. თანამედროვე ლიტერატურული გამოთქმა ე I დიფთონგისა სავსებით ზუსტად გადმოიცემა ქართულში აი'ს სახით, რაც ქართ. ა ხმოვნის ხასიათითაა განსაზღვრული.

7. ქართ ა არის შედარებით ვიწრო ხმოვანი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ ენებთან შედარებით, სადაც ან რამდენიმე სხვადასხვა ა მოიპოვება, ან არადა ერთადერთ ა-ს აქვს უფრო ღია გამოთქმა, როგორც, მაგ., რუსულში.

8. რუსულ-ქართული მრავალრიცხოვანი პარალელები ცხადად მოწმობენ, რომ ქართ. ა სწორედ თავისი სივიწროვის გამო ძალიან ხშირად თავის შესატყვისად რუსულში პოვებს არა „ა“-ს, არამედ „ი“-ს და პირუკუ (ე საერთოდ უფრო ვიწრო ბგერაა, ვიდრე ა), მაგალითად:

ქართულიდან ნასესხები სიტყვები რუსულში
(აღებულია ისტორიული ფაქტები)

შავერდა	Шеверда
მაქაეარიანი	Мечеварианов
ზაგემი	Зегемь
შარვაშიძე	Шервашидзе
ათაბაგი	Атабек
ფეშანგი	Пешенга
ოჩამჩირე	Очемчиры
ბასლათი	Беслетка და სხ.

რუსულიდან ქართულში ნასესხები სიტყვები

იარანალი	генерал
არტალარია (ხალხური)	артиллерия და სხვა.

ზაერთო ნასესხობანი რუსულსა და ქართულში რომელიმე უცხო ენიდან

კავკასიური ენებიდან:

შაქი	Шека/и
შამახია	Шемаха
ტარკუი	Терки
ჩაჩანი	чечень
ბასლინაი	Бесленей
აბრაგი	абрек და სხვა.

აღმოსავლური ენებიდან (არაბულ-სპარსულ-თურქულიდან):

ზადა	заде
ბანდა	бенде
დარუბანდი	Дербент
ადარბაიჯანი	Азербейджан
ფათ-ალი-ხანი	Фетали-хан
ფათ-ალი-შაჰი	Фетали-шах
ჯავანშირი	Джеваншир
თაფა	тепе
დარა	дере
თარაქამა	Терекемейцы
ჩალაბი	Челеби
ბეგლარბეგი	беглербег
ჩარდახი	чердак
მაჰმადი	Магомед
მაჰდი	Мегди, Мехти
მაქა	Мека
მადინა	Медина
საფარი	Сефер
ალაბი	Алеппо
ნავთი	нефть და სხვა.

9. გერმანულ-რუსულ ბგერით შესატყვისობათა თვალსაზრისით გერმანულში ორი ა-სა და რუსულ-ქართულში თითო ა-ს არსებობის პირობებში გასაგები ხდება ის გარემოება, რომ რუს. ა შეესატყვისება გერმ. ლია ა-ს (პირველი ხმოვანი სიტყვაში Arbeit), ხოლო ქართ. ა—გერმან. ვიწრო ა-ს (მეორე ხმოვანი იმავე სიტყვაში). ასევე უცხადი ხდება, რომ თუ გერმან. ვიწრო ა, კერძოდ ei დიფთონ-

გის ა, ვერ პოვებს ზუსტ შესატყვისს რუს. ა-ში, სამაგიეროდ, ზუსტ შესატყვისს პოვებს ქართ. ა-ში (ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ რუსულში მაინც არის თითო-ორი შებენიანი აღნიშნული დიფთონგის აწ სახით გადმოცემისა: Айсберг, გერმ. Eisberg —ყინულის მთა, გვარები — Айхенвальд, Айзман, Айзенштадт).

შოხსენების თანახმად კომისიამ მიიღო: შეთვისებისას გერმანული ei გადმოიცეს ქართულში ყველგან აი-თ. მაშასადამე, უნდა იხმარებოდეს: რაიხსტაგი, პარტიტაგი, ჰაიმვერი, ჰაინე, ლაიპციგი, აინშტაინი, ცაიტნოტი, ლაიბნიცი, ლაიბგვარდია, ლაიბ-მედიკი, ფრაიბურგი, ჰაიზენბერგი, აიზენახი, ჰაიდელბერგი, შტაინახი, მეკელაინი, შტაიგერი, შტრაიკბრეხერი, მაისტერ (ჰოფმაისტერი და სხ.), „ცაიტუნგ“, „ცაიტურიფტ“, ცვაიგი, როზენცვაიგი, მანჰაიმი, ჰაიზერი, ბრაუნშვაიგი, ჰოლშტაინი, ვაიმარი, „ცვაიკინდერსისტემ“ და სხვ.